

# ინფორმაცია

გურამ ყიფიანი  
(ხელმძღვანელი)

მადონა მშვილდაძე  
(ხელმძღვანელის მოადგილე)

## ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ზედა ცინესულორის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში

16 ნახაზით, 59 სურათით და 5 დანართით

ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ცინესულორში ა/წ 5 მაისიდან 5 ივლისის ჩათვლით არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული კვლევების ლაბორატორია.

არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობა (N 09/12/329) გაიცა სსიპ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის გიგი თევზაძის 2012 წლის 23 მარტის N190 მიმართვისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2012 წლის 28 მარტის (N2/34) ბრძანების საფუძველზე.

ნებართვა გაიცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული კვლევების ლაბორატორიის ხელმძღვანელის პროფ. გურამ ყიფიანის სახელზე.

გურამ ყიფიანის გარდა (ხელმძღვანელი), ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ზურაბ ცქვიტინიძე (ასისტენტი პროფესორი, ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე), მადონა მშვილდაძე (დოქტორანტი, ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე), ნინო კაპანაძე, გიორგი ბურჯანაძე (მაგისტრანტი), ინგა დემეტრაშვილი, თეონა ბუბუტიეშვილი, გიორგი ნებულიშვილი, ანა დულარიძე, მათე ახალაია (ბაკალავრები).

ექსპედიციამ ტერიტორიის დაკვალვა 5 მაისს დაიწყო. შესასწავლი ტერიტორია მოქცეულია 292,700-293,100 გრძედებსა და 4662 000 – 4662 300 განედებს შორის (იხ. დანართი II). იგი დანაწევრებულია უბნებად შემდეგი რიგით I-XII უბნები ისაზღვრება განედებითა და გრძედების გადაკვეთებით, ასე რომ უბანი წარმოადგენს 100 მ-ან კვადრატებს და შესაბამისად მიწის 10000კვ/კმ. ფართობს. იგი ნაწევრდება ნაკვეთებად. ნაკვეთი 20 მ-ანი კვადრატია, ფართობი 400კვ/მ. თვითოეულ უბანში შედის 25 ნაკვეთი ნუმერაციით: I-XXV, რაც თავის მხრივ ნაწევრდება 2 მ-ან კვადრატებად. კვადრატთა ნუმერაცია შემდეგია: A1, A2, B1, B2 და ა.შ.

აღმოჩენის ფაქტი ტერიტორიაზე აღინიშნება შემდეგნაირად: XI. VIII, D8, რაც ნიშნავს 21-ე უბანს, 8-ე ნაკვეთს, ხოლო სიმბოლოთა კონსტრუქცია, მაგ. D8 აღნიშნავს 2 მ-იან კვადრატს.

არქეოლოგიური გათხრები სოფ. ციხესულორის ტერიტორიაზე 3 წლის მანძილზე მზადდებოდა და ილიას უნივერსიტეტის არაერთი დაზვერვითი ექსპედიცია მიეძღვნა. დაზვერვის შედეგები დეტალურადაა გადმოცემული ილიას უნივერსიტეტის მიერ წარდგენილ არქეოლოგიური გათხრების ნებართვის მისაღებად გამიზნულ საპროექტო დოკუმენტაციაში.

ექსპედიცია მთლიანად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა დააფინანსა.

არქეოლოგიურ გათხრებს, გარდა სადაზვერვო ექსპედიციების მონაცემებისა, წინ უძღოდა თეორიული კვლევისადმი მიძღვნილი არაერთი პრეზენტაცია, სადაც მოცემული იყო მტკიცებულებანი იმისა, რომ თანამედროვე სოფ. ციხესულორი გადაჭვარავდა ანტიკურ საისტორიო წყაროებში მოხსენიებულ შიდა კოლხეთის ქალაქ სურუმს (პლინიუს უფროსი, კლავდიოს პტოლემეაიოსი).

შესასწავლი ტერიტორიის, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს მიერ უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცა სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ფართობით 40.800 კვ/მ (იხ. დანართი II), საზღვრებში მოქცეულია პატარა სიმეგრის ნაშთი ციხესულორის ნაციხარი, რომლის შიდა ფართობს (600კვ/მ) 1969-1975 წწ-ში შეისწავლიდა ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის რაზმი ქ-ნ მარინე მიწიშვილის ხელმძღვანელობით.

ციხე ადრეფეოდალური ხანით თარიღდება (იხ. დანართი IV) და იგი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე (გვიანშუასაუკუნეების ჩათვლით) აგრძელებდა ფუნქციონირებას. მისი კედლები ნაგებია ძირითადად ანტიკური (ელინისტური) კვადრებით (სურ. 3; 4), რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა თავის დროზე ხანძარშია მოხვედრილი.

ექსპედიციამ გათხრების ძირითად უბნად ციხის გარე ტერიტორია შეარჩია, მისი სამხრეთ აღმოსავლეთის „კვადრატული“ კომპლექსის სამხრეთი არე, რომელიც ექცეოდა შემდეგი კოორდინატების საზღვრებში: XVI. VIII; VI. XVII; VI. XVIII; VI. XXIII (ნახ. I).

კომპლექსის სამხრეთი კუთხიდან სამხრეთის მიმართულებით საკმაოდ დაქანებული ფერდია და უპირველესად მისი ცენტრალური არის, თითქმის ნიველირებული თხემის შესწავლა დაფიქსურებული (სურ. 7), თხრილი ზომებით 6/5,50 მ-ი, ჰუმუსური ფენის ალების შემდგომ (15 სმ-ის სიმაღლის), თხრილის ცენტრალურ არეში გამოიკვეთა გვიანშუასაუკუნეების წყლის რეზერვუარის ქვედა სტრუქტურა (სურ. 8, ნახ. 2; 3), რომლის შიდა მხარე ჰიდრაგლიკური ხსნარით იყო შეღესილი. ორმოცი სანტიმეტრის სიღრმეზე კი გამოვლინდა თიხის ფენილი, რომლის უშუალო ზედაპირზე დაფიქსურდა თიხის შეღესილობის (ბათქაშები), ნახანძრალი ხის შენობის ფრაგმენტები (სურ. 30; 32; 33; 34. ნახ. 5). ბათქაშებზე ასახული მორების კვალთა მიხედვით დგინდება, რომ მათი დიამეტრი საშუალოდ 20-25 სმ-ი უნდა ყოფილიყო. ბათქაშების გროვაში გამოიკვეთა 30 სმ-ის დიამეტრისა და 20 სმ-ის სიღრმის „ბუდე“ (ნახ. 4. სურ. 10; 12), რომელიც ყველა ნიშნის მიხედვით ხის სვეტის ფუძეს წარმოადგენდა, ხოლო ის ფაქტი, რომ იგი თითქოსდა ბათქაშების ფენაში იყო შექმნილი იმას მიგვანიშნებს, რომ ხის სვეტიც თიხის ფენით იყო დაფარული. რადგან ვერ დადგინდა ნაგებობის გეგმა, ამიტომაც ჭირს ამ სვეტის ფუნქციის განსაზღვრა – ვოტივური იყო იგი, თუ კონსტრუქციულ როლს ასრულებდა. ალბათ მაინც ვოტივური დანიშნულება ჰქონდა, რადგან მორული წყობით ნაგები კოლხური სახლები ცენტრალურ სვეტებს არ შეიცავდა.

ბათქაშთა ჩალეწილი გროვის ქვეშ (მისი სიმაღლავრე 40 სმ-ს აღწევდა (სურ. 13)) გამოიკვეთა კერამიკული ჭურჭლის შემცველი რამდენიმე შრე (სურ. 29; 30), რამაც გვაფიქრებინა, რომ საქმე მრავალსართულიან ნაგებობასთან გვექონდა და ხანძრისას კერამიკული ჭურჭელი ხანძრისგან ნაგებობის განადგურების შესაბამისად ეფინებოდა ერთმანეთს. ამ ფენაში აღმოჩენილი მასალა სარიტულო-საკულტო ხასიათისაა, შესაძლოა, იგი წარმოადგენდა სამლოცველოს ინვენტარს, ან შეწირულობათა კომპლექსს (სურ. 14, 15, 18, 20, 21, 22).

მრავლად იყო ამ ფენაში წარმოდგენილი კოლხური სასმისები, მათი როგორც შავად, ასევე წითლადგამომწვარი ნიმუშები (სურ. 45-48, 57. ნახ. 7-12).

აქ გვხვდება, როგორც კონუსურძირიანი და ცილინდრულტანიანი და პირგადაშლილი სასმისები ტალღოვანი ორნამენტით, ასევე ჭიქისებურძირიანი ნიმუშები, როგორც პირგადაშლილი ასევე პირმოყ-

რილი ეგზემპლარები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჭიქისებურძირიან ნიმუშებში გვხვდება ისეთი ეგზემპლარები, რომელთა მსგავსი ვანის ნაქალაქარზე ჯერ არ დადასტურებულა, მაგრამ ცნობილია კოლხეთის სხვა ნამოსახლარებიდან (მათი დიდი ნაწილი გამოფენილია ფოთის არქეოლოგიურ მუზეუმში). მრავალფეროვანია მათი დეკორაცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამავე ფენაში ყურმილიანი დოქების სიმრავლე, (10 ნიმუში) მათი უმეტესობა ბიკონუსური ტანით, წნეხვით გამოყვანილი მრავალფეროვანი ორნამენტითა და შავადნაპრიალები ზედაპირით გამოირჩევა. (იხ. სურ. 53-56)

ამავე ფენაში დადასტურდა პირმოყრილი ჯამების დიდი ჯგუფი (ნახ. 13, 14) – ოცი ერთეული. აქვე აღმოჩნდა ბრტყელი 16 მმ-ის სისქისა და 103 მმ-ის რადიუსი მქონე ქვა, რომლის კიდე დაკეჭნილი იყო გარკვეული შუალედებით (სურ. 52, ნახ. 15a), შესაძლოა, მისი მეშვეობით კერამიკულ ჭურჭელზე, მის გამოწვამდე ორნამენტი გამოჰყავდათ. აქვე აღმოჩნდა ბრტყელი ქვის საწაფებიც (ნახ. 15b).

საინტერესო სურათი გამოიკვეთა თხრილში, რომელიც შემდეგი კოორდინატებით აღინიშნება – VI.XVII, K4, K5, K6; VI. XVIII, A4, B4, C4, A5, B5, C5.

ზემოთ მოხსენებული ხის შებათქაშებული სამლოცველოს დონიდან 80 მ-ის სიღრმეზე სტერილური თიხნარის მოხსნის შემდგომ კვლავ ბათქაშების ფენა გამოიკვეთა (სურ.19). ამან თავისთავად გვაფიქრებინა, რომ მოზვინვა (სურ. 16, 17) აქ ეტაპობრივად მიმდინარეობდა და ზვინულის თავზე გამართული ნაგებობის განადგურების შემდგომ ხდებოდა თიხის ახალი მასივის შექმნა, ან ნაგებობის ძირითადი ნაწილი გაუთხრელ ფართობში იჭრება და მისი საფუძვლიანი შესწავლა მომავლისათვის გადავდეთ დროის უკმარისობის გამო. თიხის ზვინული, რომლის თავზე და ცენტრში გამართული იყო ჩვენს მიერ პირობითად სახელდებული სამლოცველო, სტერილურია და საგანგებოდაა შექმნილი ხელოვნური ბორცვი. მას არ შეხება არც ელინისტური პერიოდი და არც შუასაუკუნეები. შესაძლოა, არსებობდა ხსოვნა მისდამი კრძალვისა.

თითქმის ყველა თხრილში დადასტურდა ელინისტური პერიოდის კვადრები (სურ. 23). შუასაუკუნეების კედლებში მათი გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ეს კედლები (მაგ. სავარაუდოდ ადრეშუასაუკუნეების კედელი (სურ.28)) ხშირ შემთხვევაში შეიცავდა ქვის სფერულ ჭურვებსა და არქიტექტურულ დეტალებს – კანელურებიანი ნახევარსვეტის ფრაგმენტებს და სხვა.

ჭურვის დიამეტრი 15 სმ-ია. დაახლოებით ამავე ზომისა იყო ციხესულორის ნაციხარის შიდა ფართობში მიკვლეული ჭურვიც 1974 წელს.

იმ კედლის ფუნქცია, რომელიც, სავარაუდოდ, ადრეშუასაუკუნეებს განეკუთვნება და რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, გაურკვეველია. იგი კირხსნარის ძალიან სუსტი ხსნართაა ნაგები და მრავლად შეიცავს ელინისტური პერიოდის ქვიშაქვის კვადრებს, მაგრამ მისი სისქის გამო (90 სმ-ი) ვერ მიეკუთვნება შუასაუკუნეების საფორტიფიკაციო სისტემის ნაწილს. არც არავითარი ორგანული კავშირი არ ჩანს მასსა და ნაციხარს შორის. საყურადღებოა ის, რომ კედელი უშუალოდ დედაქანზეა ამოყვანილი და იგი სამხრეთის მხრიდან ზღუდავს იმ თიხის ზვინულს, რომელზეც ადრეანტიკური ხანის სამლოცველო იდგა (სურ. 28). კედლის თავდაპირველი სიმაღლის დადგენა ახლა შეუძლებელია, მაგრამ უსისტემობისა და ფრიად სუსტი სტრუქტურის გამო მისი სიმაღლე 1.50 მ-ს ვერ აცდებოდა.

ამ წერტილიდან კლდოვანი მასივი მკვეთრად იხრება ქვემოთ 70 და VI.XXIII A5, B5, C5-ის არეალში, მიწის ზედაპირიდან 6 მ-ის სიღრმეზე გამოიკვეთა კლდოვანი გზა, რომელიც სამხრეთიდან საზღვრავდა ამ კლდოვან ბორცვს და მიმართული იყო O – W ღერძზე. მისი სასიარულო დონე აბსოლუტურად ნიველირებულია და 1.80 სმ-ის სიგანისაა. თითქოსდა შეიძლებოდა იგი პროტოხეიზმის ნაწილად მიგველო, როგორც დამატებითი წინალობა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში აქ წყლის მოქმედების კვალი უნდა დადასტურებულიყო. სასიარულო დონეზე კარგად შეინიშნება ქვის სათლელი იარაღების კვალი, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ იგი ინტენსიური სასიარულო ზოლი არ იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში იარაღის კვალი კლდოვან სიბრტყეს არ შერჩებოდა (იხ. სურ. 37, 38, 40, 41, 42. ნახ. 6).

მის ზედაპირზე დავარდნილია რიყის 20 სმ-ის დიამეტრის თითქმის სფერული ქვა (ჭურვი?). გარდა ამისა, რამდენიმე წერტილში ზედაპირი გაწითლებული იყო (ხანძრის კვალი). ცხადია, რომ იგი ღია იყო მაშინ, როცა აქ საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა, ყველაზე მეტად კი იგი მაინც ქალაქის საიდუმლო გასასვლელს – პოსტერნას გვაგონებს. მისი გამოვლენილი სიგრძე ჯერჯერობით მხოლოდ 4 მეტრია და შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებს.

არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთ ძირითად მიზანს შეადგენდა ციხესულორის ჩრდილოეთ ფერდზე განფენილი დასახლება – სოფ. ციხესულორის ერთი ნაწილი, რომელიც კორძაძეების უზნად სახელდება.

საქმე ისაა, რომ 1959 წლის, ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს ქ-ნ ნინო ხოშტარიას ანგარიშში ნახსენებია სოფ. ციხესულორში მის მიერ მიკვლეული რომაული აბანოს ნაშთი – პლინტუსები და ვერტიკალურად აღმართული კერამიკული მილები. კოორდინატები მის ტექსტს არ ახლავს.

აღმოჩნდა რომ 1960 წელს ვანის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი-სათვის სოფ. ციხესულორში მცხოვრებ ვინმე თ. კორძაძეს ჩაუბარებია 4 კერამიკული მილი. ისინი ინახება ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში. ერთ ასეთსავე მილს მივაკვლიეთ ყოფილი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდში. საკმაოდ ხანგრძლივი ძიების შედეგად დავადგინეთ, რომ მიღება-ჩაბარების აქტში მოხსენიებული თ. კორძაძე თეოდოტი კორძაძეა, რომელიც 2010 წელს გარდაცვლილა 102 წლის ასაკში. მის კარმიდამოში, რომელსაც მისი ვაჟი ზაურ კორძაძე განაგებს (იხ. დანართი III), მოვიხილეთ მიმოფანტული კერამიკული პლინტუსები და მიღები (სურ. 24, 25, 26, 27) – ანუ ახ.წ. II ს-ის აბანოს ნაშთი. ზაურ კორძაძის თანამედროვე სახლი სწორედ აბანოს ერთ-ერთ კედელზეა დაშენებული. მის სამეურნეო ნაგებობებში გამოყენებულია ანტიკური ხანის (გვიანანტიკური) კვადრები და ფილები.

ის ფაქტი, რომ II ს-ში ვანის ნაქალაქარის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებობდა რომაული თერმები, ფრიად საყურადღებო ფაქტია.

ადგილობრივი მოსახლის, ქ-ნ ინეზა გიორგაძის მინიშნებით, გავწმინდეთ და დავაფიქსირეთ დედაქანში (თირში) შექმნილი ჩალრმაგება IX.XIV არეალში, სურ. 1,2.

გამოიკვეთა 80 სმ-ის დიამეტრის მქონე ჩალრმაგება („ორმო“) დედაქანში, 70 სმ-ის სიღრმეზე. ეს „ორმო“ ქვიშაქვისა და თირის ნაგლეჯი ქვებით იყო ამოვსებული, კერამიკულ მასალას იგი არ შეიცავდა. გამოჩნდა, რომ „ორმო“ აღჭურვილი იყო კლდეშივე ამოკვეთილი 60 სმ-ის სიგანისა და 30 სმ-ის სიღრმის სადინარით, რომელიც „ორმოს“ სამხრეთი კიდიდან ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა. ორმოს კლდოვანი კედლები მთელს პერიმეტრზე და სიღრმეზე მთლიანადაა გაწითლებული ხანძრის მოქმედების შედეგად.

ამჟამად მის ფუნქციასა და თარიღზე მსჯელობა საფუძველს მოკლებული იქნება. ჩვენ მხოლოდ არქეოლოგიური ფაქტი დავადასტურეთ და მისი მიმდებარე ტერიტორიის კვლევა მომავალი სეზონისათვის გადავდეთ.

საერთოდ, მომავალი სეზონისათვის ჩვენ მრავალი პრობლემური საკითხი გადავდეთ. ესაა უპირველესად, მკაცრად დადგენა ქალაქ სურიუმის საზღვრებისა. ეს ურთულესი საკითხია, რადგან იგი განფენილი უნდა იყოს ძირითადად ზემოთ მოხსენებული ბორცვების ჩრდილო კალთებზე, სადაც ამჟამად სოფლის უაღრესად მჭიდრო დასახლებაა. ამის მიუხედავად, ექსპედიციამ მაინც შეარჩია რამდენიმე მონაკვეთი მომავალი სეზონისათვის. რაც მთავარია, მომავალში უნდა დადგინდეს საქალაქო ცხოვრების ქრონოლოგიური ჭრილიც.

## სურათების აღწერილობა

1. თირში ჩაკვეთილი „ორმო“, გაწმენდამდე;
2. თირში ჩაკვეთილი „ორმო“ პრეპარაციის პირველი საფეხური;
3. ციხესულორის „ნაციხვარი“ ჩრდილოეთის კედლის სამხრეთი (შიდა) მხარე;
4. ციხესულორის „ნაციხვარი“ შიდა, დასავლეთის მხარე;
- 5-6. თირში ჩაკვეთილი ორმო. პრეპარაციის ბოლო საფეხურები;
7. ჰუმუსური ფენისაგან განთავისუფლებული ერთ-ერთი ჩრდილოეთის თხრილი, არქეოლოგიური გათხრების დასაწყისი;
8. თხრილი N1 არეალი. არქეოლოგიური გათხრების დასაწყისი. ცენტრში გვიანშუასაუკუნეების წყლის რეზერვუარის ძირი;
9. თხრილი N3, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან;
10. თხრილი N3, ბათქაშების ყრილი და „ორმო“, სვეტის ფუძე, ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან;
11. გათხრების საერთო ხედი (VI.XVIII) დასავლეთიდან;
12. ბათქაშების ყრილი, უკანა პლანზე გვიანშუასაუკუნეების წყლის რეზერვუარის ფრაგმენტი. თხრილი N3, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან;
13. ბათქაშების გროვა N4 თხრილში;
14. თხრილი N3, ხედი სამხრეთიდან, სვეტის „ორმო“ და ჩალეწილი კერამიკული ნიმუშები;
15. კოლხური სასმისის ფრაგმენტი (XI.XVIII. B9);
16. სტრატეგრაფია, N2 თხრილის დასავლეთი კედელი (ჰუმუსური ფენა; თიხაზვინული);
17. სტრატეგრაფია, N2 თხრილის აღმოსავლეთი მხარე (ჰუმუსური ფენა, გვიანშუასაუკუნეები, თიხაზვინული);
18. კერამიკის ფრაგმენტები (VI.XVIII. B9);
19. ბათქაშების N2 თხრილის დასავლეთ არეში;
20. კერამიკის ფრაგმენტები (VI.XVIII. B9);
21. კერამიკული ჭურჭლის გროვა, ბათქაშებიანი ნაგებობის სივრცეში (თხრილი N3);
22. ქვყრილი, ბათქაშებიანი ნაგებობის ქვედა დონე (თხრილი N3);
23. N4 თხრილის საერთო ხედი სამხრეთიდან, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, ელინისტური კვადრების გროვა;
24. ზაურ კორძაძის ეზო, სოფ. ციხესულორი. რომაული პლინტუსების ფრაგმენტი;
- 25-26. რომაული პლინტუსები ზაურ კორძაძის ეზოში;
27. რომაული აბანოს კალორიფერის ფრაგმენტი. ვერტიკალური კერამიკული „მილი“;

28. „კედელი“ N4 თხრილში, მისი სამხრეთი მხარე და დედაქანის მკვეთრი დაქანების დასაწყისი;
29. ძვ.წ. VI-V სს-ის კერამიკა ბათქაშებიანი ნაგებობის სივრცეში;
30. „ქოთნის“ ყელი, პრეპარირებული N5 თხრილის A8 კვადრატში;
31. პრეპარაციის პროცესი;
32. დანახშირებული მორების ფრაგმენტი (თხრილი N3);
- 33-34. ხის, ბათქაშით შელესილი ნაგებობის კვალი (თხრილი N3);
35. ხის ბათქაშით შელესილი იატაკი და მასში ჩასმული გვიანფეოდალური ქვევრის ფრაგმენტი;
36. გათხრების საერთო ხედი სამხრეთიდან;
37. კლდოვან მასივში ჩაკვეთილი გზა (აზომვის პროცესი);
38. კლდოვანი მასივის ჩრდილოეთი კედლის ფრაგმენტი;
39. ექსპედიციის დასასრულის ერთ-ერთი ფაზა, მავთულბადით შეღობილი თხრილები;
40. თხრილები, რომლებიც შეღობვას ექვემდებარება;
- 41-42. კლდოვან მასივში გაყვანილი გზა;
- 43-44-45-46-47-48 და 57. ადრეანტიკური ხანის კოლხური სასმისები;
49. ქვიშაქვის ჭურვის ფრაგმენტი;
50. სარიტუალო ქოთნის ყელი;
51. შავად გამომწვარი ქოთანის;
52. ქვის იარაღი (კერამიკაზე ორნამენტის გამოსაყვანი იარაღი?);
- 53-56. ყურმილიანი დოქების ფრაგმენტები;
58. კოლხური კერამიდების ფრაგმენტები;
59. კანელურებიანი კირქვის ფრაგმენტი;

### ნახაზების აღწერილობა

1. გათხრების სიტუაციური გეგმა;
2. N2 და N3 თხრილების გეგმა 12 მაისის მონაცემებით;
3. N2 და N3 თხრილების განაკვეთი სამხრეთიდან-ჩრდილოეთისაკენ. 12 მაისის მონაცემებით;
4. გეგმა და ჭრილი N3 თხრილის B8 კვადრატში;
5. ხის ნაგებობის ნაშთი (ბათქაშებით შელესილი) N3 თხრილის B8-B9 კვადრატებში;
6. N5 თხრილი. კლდოვან მასივში შექმნილი გზა. გეგმა და ჭრილი, სტრატეგრაფია. 1. ჰუმუსური ფენა; 2. ჰუმუსნარევი ფენა; 3. ნაშალი თირი, თირის ანატკეცები; 4. მონაცრისფრო კირნარევი ფენა; 5. ნაცრის შემცველი მოყავისფრო შრე; 6. შუასაუკუნეების „ყორე“; 7. ნაცრის გროვა 8. მოყავისფრო კირქვის



- ანატკეცების შემცველი ფენა; 9. ნაშალი თირისა და სტერილური თიხის ნაერთი; 10. არქეოლოგების მიერ შექმნილი, თხრილების ურთიერთგამმიჯნავი „უღელი“; 11. დედაქანი – თირი; 12. კლდოვანი გზის ზედაპირი;
- 7-8. კოლხური კონუსისებურძირიანი და ცილინდრულტანიანი სასმისები;
- 9-12. კოლხური ქიქისებურძირიანი სასმისები;
- 13-14. კოლხური ჯამები;
15. a. ქვის ბრტყელი წრიული ფილა დაკეჭნილი კიდით  
b. ქვის საწაფი;
16. კირქვის პილასტრის ფრაგმენტი.

### დანართთა აღწერილობა

- I – მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნახაზი;
- II – აეროფოტოსურათი. ხაზით ნაჩვენებია შესასწავლი ტერიტორია;
- III – ტრასა გათხრების არეალიდან სოფ. ციხესულორში მიკვლევულ რომაულ აბანომდე. 1. ვანის ნაქალაქარი; 2. ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის გათხრების არეალი;
- IV – ციხესულორის ნაცხვარი. ციხის სქემატური გეგმა (გ. ლეჟავას მიხედვით).

## სურათები



1



2

3



4





5



6



7



8



9



10



11



12



13



14





15

16





17

18





19



20



21

22





23

24





25




26



27

28





29

30







31

32





33

34





35

36





37

38





39

40





41



42



43



44



45



46



47



48



49



50





51



52



53



54



55



56




57




58




59




1




2





3




4





5




6




7







8






9





10







11




12












13




14





# დანართი



პროექცია - UTM ზონა - T 38, კოორდინატთა სისტემა - WGS 84

მოსამართი: ვანის რაიონი, სოფ. ციხესულორი აზოგების თარიღი: 30/11/2011

რანგინაშენი: არასასოფლო-სამეურნეო კატეგორია: \_\_\_\_\_ ფართობი: 40800 კვ.მ.

**პროექციის აღნიშვნები**

კადასტრის საზღვრები	საზღვრის ფენის საზღვრები	საზღვრის არაფენის საზღვრები	სურათის საზღვრის საზღვრები
სურათის საზღვრის საზღვრები	სურათის საზღვრის საზღვრები	სურათის საზღვრის საზღვრები	სურათის საზღვრის საზღვრები

შენიშვნა: სურათის საზღვრის საზღვრები 0.00

**ALLIGATOR OFFICE**

**შპს "ალეგატორი"**

მის. ქ. აბაშის რაიონის ქ. N30  
 ტელ: 38 57 73, 899 36 01 22  
 ფაქსი: +995 32 38 57 73  
 Email: alligator@caucasus.net



პროექცია - UTM ზონა - 138, პროექციონაობა - სისტემა - WGS

მისამართი: ვანის რაიონი, სოფ. ციხესულორი	თარიღი: 29.11.2011
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო	კატეგორია: უპროცესო 40800 კმ
<p>პროექტი ავტომატურად</p> <p> <span style="display: inline-block; width: 10px; height: 10px; border: 1px solid black; margin-right: 5px;"></span> <span style="display: inline-block; width: 10px; height: 10px; border: 1px dashed black; margin-right: 5px;"></span> </p> <p> <span style="display: inline-block; width: 10px; height: 10px; border: 1px solid black; margin-right: 5px;"></span> <span style="display: inline-block; width: 10px; height: 10px; border: 1px dashed black; margin-right: 5px;"></span> </p> <p> <span style="display: inline-block; width: 10px; height: 10px; border: 1px solid black; margin-right: 5px;"></span> <span style="display: inline-block; width: 10px; height: 10px; border: 1px dashed black; margin-right: 5px;"></span> </p> <p> <span style="display: inline-block; width: 10px; height: 10px; border: 1px solid black; margin-right: 5px;"></span> <span style="display: inline-block; width: 10px; height: 10px; border: 1px dashed black; margin-right: 5px;"></span> </p> <p> <span style="display: inline-block; width: 10px; height: 10px; border: 1px solid black; margin-right: 5px;"></span> <span style="display: inline-block; width: 10px; height: 10px; border: 1px dashed black; margin-right: 5px;"></span> </p> <p> <span style="display: inline-block; width: 10px; height: 10px; border: 1px solid black; margin-right: 5px;"></span> <span style="display: inline-block; width: 10px; height: 10px; border: 1px dashed black; margin-right: 5px;"></span> </p>	
	<p>შპს "ალიგატორ"</p> <p>მ. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. 1</p>



